

**შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის  
ირმა რატიანის  
ანგარიში**

პატივცემულო კოლეგებო, მოგესალმებით. პატივი მაქვს, წარვდგე თქვენს წინაშე გასული წლის ანგარიშით.

ინსტიტუტში არსებული საერთო მდგომარეობა დღეისათვის შეიძლება შეფასდეს, როგორც წარმატებული. ამ მტკიცების არგუმენტების მიზნით, აღვნიშნავთ 2008 წლის მთავარ მიღწევას: ლიტერატურის ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგად, გამოცხადდა საუკეთესო კვლევით ცენტრად ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების მიმართულებით.

თქვენის ნებართვით, გამოვეყოფთ ძირეულ მაჩვენებლებს, რომლებიც გასული, 2008 წლის, მუშაობის შედეგებზეა დაფუძნებული:

**ა) იურიდიული და ორგანიზაციული მხარე:** ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმდა და დამტკიცდა 2008 წლის ბიუჯეტი; განახლდა ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (შეძენილია ახალი კომპიუტერები, პრინტერები, გამათბობლები ეკრანი, საწერი მაგიდები, სკამები, განათებები და ა.შ.); მსუბუქი რემონტი ჩაუტარდა რიგ ოთახებს, კორიდორს; დაიწყო და გრძელდება საბიბლიოთეკო ფონდის რეორგანიზაცია. კერძოდ: ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს ფონდის შემოწმება და რეინვენტარიზაცია. ამჟამად ხორციელდება: მთლიანი ფონდის რეინვენტარიზაცია, მოძველებული და ნაკლებადბრუნვადი ლიტერატურის გადარჩევა, ფონდების აღრიცხვა და შემოწმება, ახალი, თანამედროვე საკატალოგო სისტემის შექმნა (მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით).

დასრულებული სახით, ახალი კატალოგი განლაგდება ინტერნეტის ქსელში, შეიქმნება ელექტრონული ბიბლიოთეკა "Open Biblio". დაგეგმილია აგრეთვე, იმ გარდაცვლილი ღვაწლმოსილი მეცნიერების სახელობითი ბიბლიოთეკა-კაბინეტების შექმნა, რომელთა ოჯახებმაც საჩუქრად გადმოსცეს ინსტიტუტს მათი პირადი ბიბლიოთეკები და არქივები (აკაკი ხინთიბიძე, ლევან ჭრელაშვილი, ვარლამ შადური). ასევე, გეგმაში გვაქვს, რარიტეტის ფონდის გამოყოფა, რადგან ინსტიტუტში დაცულია ძალიან ბევრი იშვიათი გამოცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკიდან მოწვეული კონსულტანტები დახმარებას გვიწვევენ ფონდის დამუშავებაში, აქვე მუშაობენ ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც გადიან სასწავლო პრაქტიკას.

**ბ) სამეცნიერო-კვლევითი მხარე:** შეიქმნა, დამტკიცდა და დამუშავდა ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პროგრამები 2008 წლისათვის (18 ინდივიდუალური და ჯგუფური თემა); პროექტების შესრულების მიმდინარეობაზე მონიტორინგს ახორციელებდნენ შესაბამისი სამეცნიერო განყოფილებები, რომელთა ანგარიშები წლის ბოლოს განიხილა და დაამტკიცა სამეცნიერო საბჭომ; ჩატარდა მოხსენებათა სერია "ლიტერატურათმცოდნეობა 2007"; ინსტიტუტის არაერთმა მეცნიერ-თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში; ინსტიტუტის ბაზაზე მომზადდა და ჩატარდა საერთაშორისო და ლოკალური

**გ) სამეცნიერო ფორუმები: საერთაშორისო ფორუმი:**

2008 წლის 16-18 დეკემბერს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ორგანიზებით, ჩატარდა II საერთაშორისო სიმპოზიუმი – "ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები".

სიმპოზიუმი დაგეგმილი იყო საანგარიშო წლის 15-17 სექტემბერს, მაგრამ ქვეყანაში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამო, მისი ჩატარება რამდენიმე თვით გადაიდო.

სიმპოზიუმი გახსნა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ირმა რატიანმა. დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ბატონი ნოდარ სურგულაძე, ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) დირექტორი თინათინ ბოჭორიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი იაგო კალანდაძე.

პლენარულ სხდომაზე მოხსენება წაიკითხა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა რუსუდან ცანავამ. სიმპოზიუმზე მუშაობდა ხუთი სექცია: "მედიევსტიკა"; "რომანის საზღვრები", "თანამედროვე ლიტერატურული პროცესები"; "ინტერკულტურული კომუნიკაციები"; "მითოსი, რიტუალი, სიმბოლო"; "ტექსტი და მკითხველი"; "ტექსტის კომპარატივისტული ანალიზი და კულტურის ტიპოლოგია". მოეწყო მრგვალი მაგიდა თემებზე: "მხატვრული სახის ფუნქციური მოდელები ტექსტში" და "XX საუკუნის 20-30-იანი წლების ლიტერატურული პროცესები". სიმპოზიუმის ფარგლებში ჩატარდა სულხან-საბა ორბელიანის დაბადებიდან 350-ე წლისთავისადმი მიძღვნილი თემატური სამეცნიერო კონფერენცია – "სულხან-საბა ორბელიანი და ქართული ევროპეიზმი. ლიტერატურა, კულტურა, ცნობიერება". (ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებით). სულხან-საბა ორბელიანისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში მუშაობდა ექვსი სექცია; წარმოდგენილი მოხსენებები ინტერდისციპლინარული ხასიათისა იყო. ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის მკვლევრებმა, ფოლკლორისტებმა, ენათმეცნიერებმა, ისტორიკოსებმა და ფილოსოფოსებმა წარმოაჩინეს დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქმედების სხვადასხვა ასპექტები – ლიტერატურული და ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა, მისი ელჩობა ევროპაში. ასევე, წარმოდგენილი იყო მოხსენებები მე-18 საუკუნის საქართველოს პოლიტიკური და რელიგიური ორიენტაციის შესახებ.

სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღო 121-მა მომხსენებელმა როგორც საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შავი ზღვის უნივერსიტეტი) და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიდან (შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტი), ასევე ბაქოს, ლატვიის ბულგარეთის, ბელგიის, შვეიცარიის უნივერსიტეტებიდან.

სიმპოზიუმის დახურვის ცერემონიალი გაიმართა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში.

#### **ლოკალური ფორუმები:**

1. 5 მარტს ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია "1937 წელი და ქართული მწერლობა". (12 მოხსენება)
2. 15 მარტს ჩატარდა ყოველწლიური სამეცნიერო სესია "გალაკტიონის დღე". (5 მოხსენება)
3. 30 აპრილს ჩატარდა კორნელი კეკელიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელშიც ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებთან ერთად, მონაწილეობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები (ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლებმა წაიკითხეს 4 მოხსენება)
4. 28 მაისს ჩატარდა ანა კალანდაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის მეორე სამეცნიერო სესია (14 მოხსენება)
5. 18-19 ივნისს ჩატარდა ფოლკლორისტთა 46-ე სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სულხან-საბა ორბელიანის 350 წლისთავს (ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილი იყო 13 მოხსენება);
6. 29 ოქტომბერს მიმდინარე საგრანტო პროექტის – "ლიტერატურათმცოდნეობითი დისკურსი. თანამედროვე კვლევები" ფარგლებში ჩატარდა სამუშაო კონფერენცია;
7. 12 ნოემბერს ჩატარდა შალვა ნუცუბიძის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია (7 მოხსენება);
8. 26 ნოემბერს, ქართული ლიტერატურის განყოფილების ორგანიზებით მოეწყო სამეცნიერო დისკუსია "ქართული ლიტერატურის სწავლება სკოლაში", რომელზედაც განხილული იქნა საჯარო სკოლების მე-9 კლასის სახელმძღვანელოები. დისკუსიაზე მოწვეული იყვნენ სახელმძღვანელოთა ავტორები;
9. 29 ნოემბერს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, რომლის თანაორგანიზატორები იყვნენ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი და არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი. იმავე დღეს, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის უნივერსიტეტსა და ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს შორის ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს;

10. 24 დეკემბერს მიმდინარე საგრანტო პროექტის "ანტისაბჭოთა სიტყვიერება" ფარგლებში ჩატარდა სამუშაო კონფერენცია;

11. 2008 წლის იანვრიდან ინსტიტუტში მუშაობს მუდმივმოქმედი ლიტერატურათმცოდნეობითი სემინარი "დისკურსის ჰორიზონტები". წლის განმავლობაში, მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ აღნიშნულ სემინარზე წაკითხულია 11 მოხსენება, რომლებიც წინასწარ შეირჩა სამეცნიერო განყოფილებების მიერ.

ინსტიტუტში წაკითხულ იქნა, აგრეთვე, რამდენიმე საჯარო ლექცია;

თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნდა: 150-მდე სტატია და 10-მდე მონოგრაფია. მოეწყო სამეცნიერო ექსპედიციები :ფოლკლორის განყოფილება საგრანტო პროექტის "ანტისაბჭოთა სიტყვიერება" – ფარგლებში 2008 წელს ექსპედიციებში იმყოფებოდა ქართლის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და სვანეთის რეგიონებში. შეგროვდა აუდიო და ვიდეო მასალა, ფოტოფირები, ხალხურ მთქმელთა მონაცემები. ექსპედიციაში მონაწილეობდა 5 მეცნიერ თანამშრომელი; ინსტიტუტთან არსებულმა ფოლკლორის არქივმა 2008 წელს ექსპედიცია მოაწყო კახეთში, სადაც გადაიღეს დოკუმენტურ-ეთნოლოგიური ფილმი "ბერიკაობა". ექსპედიციაში მონაწილეობდა 2 მეცნიერ თანამშრომელი.

#### **დ) პედაგოგიური მხარე:**

ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები განაგრძობენ მონაწილეობას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების საფეხურზე; პარალელურად, ისინი ჩაერთვნენ სტუდენტური სამეცნიერო წრის "ლიტერატურის თეორია" მუშაობაში და რეგულარულად ხვდებიან სტუდენტებს; მუშაობას განაგრძობს პროექტი "მეცნიერება მომავლისათვის - მასწავლებელთა პროფესიული გადამზადება", რომლის მიზანია დაეხმაროს მასწავლებლებს პროფესიული განვითარების სრულყოფასა და სასერთიფიკატო გამოცდებისათვის მომზადებაში. ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ შემუშავდა ინტერაქტიური მეცადინეობების სასემინარო კურსი, რომელიც მთლიანად ეფუძნება ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიზანად ისახავს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნებისა და ესთეტიკური აღქმის უნარ-ჩვევების განვითარებას. პედაგოგებს სთავაზობს დახმარებას საგნობრივი კომპეტენციის ამაღლებისა და ქართული ლიტერატურის სწავლებისას უახლესი მეთოდების პრაქტიკულად გამოყენებისათვის. ამჟამად პროექტი გადის აკრედიტაციის ეტაპს.

2007-8 წელს ინსტიტუტმა, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მოამზადა პედაგოგთა სამი გამოშვება, რომლებსაც გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

ამავე პროექტის ფარგლებში ჩატარდა საქველმოქმედო აქცია: 18 ოქტომბერს გორის რაიონის ქართული ლიტერატურის პედაგოგებისათვის. პედაგოგებს ჩაუტარდათ ინტერაქტიული გაკვეთილები აგიოგრაფიული მწერლობის სწავლების, "ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტისა და კომპოზიციის, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ.

პარტნიორი სკოლების ორგანიზაციასთან ერთად 8 თებერვალს ჩატარდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და "პარტნიორი სკოლებისა და მასწავლებლების კავშირის" ერთობლივი ჟურნალის "ქართული სიტყვის" პრეზენტაცია.

#### **ე) საგამომცემლო მხარე:**

გამოიცა: ილია ჭავჭავაძის აკადემიური ოცტომეულის მე-13 და მე-15 ტომები;

აგრეთვე, სამეცნიერო ჟურნალები და კრებულები:

1. ლიტერატურულ-თეორიული სამეცნიერო ჟურნალი "სჯანი", მე-8 და მე-9 ნომრები;
2. სამეცნიერო კრებული "ლიტერატურული ძიებანის" XXVIII და XXIX წიგნები;
3. სალიტერატურო აღმანახი "კრიტიკა", #3;
4. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – "ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქა" მასალები;
5. სამეცნიერო კრებული "ქართული ფოლკლორი", #4;
6. სამეცნიერო კრებული "გალაკტიონოლოგია", #4;
7. ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის მეორე სამეცნიერო სესიის მასალათა კრებული;
8. ელექტრონული ჟურნალი "ლიტინფო" #2, რომელშიც განთავსდა სტატიები ინგლისურ ენაზე. ჟურნალი ჩართულია ელექტრონული ჟურნალების საერთაშორისო ქსელში;
9. II საერთაშორისო სიმპოზიუმის – "ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები" თეზისები;

10. თემატური სამენიერო კონფერენციის – "სულხან-საბა ორბელიანი და ქართული ევროპეიზმი. ლიტერატურა, კულტურა, ცნობიერება" თეზისები.

#### **სახელმძღვანელოები:**

1. ლიტერატურის თეორია (XX საუკუნის ძირითადი თეორიები და მიმდინარეობები), მეორე შევსებული გამოცემა;
2. საგრანტო პროექტის – "ლიტერატურათმცოდნეობითი დისკურსი. თანამედროვე კვლევები" ფარგლებში, უმაღლესი სასწავლებლებისათვის, მომზადდა სერია "რვეულები ლიტერატურისმცოდნეობაში";
3. ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის თამაზ ვასაძის ავტორობით გამოიცა საჯარო სკოლების მე-10, მე-11 და მე-12 კლასების სახელმძღვანელოები ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

#### **ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებმა გამოსცეს წიგნები:**

1. ზაზა აბზიანიძე, ქეთევან ელაშვილი "სიმბოლოთა ლექსიკონი", წიგნი II;
2. თამარ ბარბაქაძე, "სონეტი საქართველოში";
3. ლევან ბრეგაძე, "მოთხრობები ლიტერატურაზე";
4. თეიმურაზ დოიაშვილი, "გზა არტისტული ყვავილებისაკენ (გალაკტიონის ადრეული ლირიკა, 1908-1915)";
5. საბა-ფირუზ მეტრეველი, "ქართული ჰაგიოგრაფიის იკონოგრაფიული სახისმეტყველება";
6. რევაზ სირაძე, "კულტურა და სახისმეტყველება";
7. სამეცნიერო კრებული "წმინდა ნინო", პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი რევაზ სირაძე (კრებულში დაბეჭდილია ინსტიტუტის ხუთი მეცნიერ თანამშრომლის სტატია);
8. სოსო სიგუა, "მოდერნიზმი";

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანები:

1. "წერილები იტრიის წისქვილიდან" (არჩილ ჯორჯაძე);
2. "მდინარესა ზედა ქსნისა" (ელიზბარ ერისთავი);
3. "იასე იანუსი" (იასე ფალავანდიშვილი);
4. "მზე და მწუხრი" (შოი არაგვისპირელი);
5. "ავგისტოს შვილები" (ოთარ ჩხეიძე).

#### **გ) სამეცნიერო გრანტები:**

2008 წლის იანვრიდან საქართველოს მეცნიერების ეროვნულ ფონდმა დააფინანსა ლიტერატურის ინსტიტუტში მომზადებული სამი საგრანტო პროექტი:

1. ლიტერატურათმცოდნეობითი დისკურსი. თანამედროვე კვლევები;
2. ანტისაბჭოური ხალხური სიტყვიერების ნიმუშთა მოძიება, დამუშავება და გამოცემა (შესავალი წერილითა და კომენტარებით);
3. პეტრე უმიკაშვილის არქივის აღწერა;
4. იმავე ფონდის მიერ 2008 წელს გამოცხედებულ თემატურ კონკურსში – "ილია ჭავჭავაძე და გლობალიზაცია" – გაიმარჯვა ინსტიტუტის მიერ წარდგენილმა საგრანტო პროექტმა "ილია ჭავჭავაძე გლობალიზაციის სათავეებთან".

#### **საერთაშორისო საგრანტო ფონდებიდან დაფინანსდა კიდევ რამდენიმე პროექტი:**

11. გერმანული გამომცემლობა "შურბანგ ფერლაგ" - ის დაფინანსებით – სრულდება ფერდინანდ დე სოსიურის წიგნის "ლინგვისტიკა და სემიოლოგია" ქართული თარგმანი;
12. ფრანგული გამომცემლობა "SEUIL" აფინანსებს როლან ბარტის წიგნის "S/Z" ქართულ ენაზე თარგმნასა და გამოცემას;
13. უნგრული ლიტერატურის მხარდამჭერი ფონდის დაფინანსებით ითარგმნება გ. ლუკაჩის სტატიათა კრებული;
14. ამერიკული გამომცემლობის "People World Cthering" –ის დაფინანსებით ხორციელდება პროექტი "12 ქართული ლექსი. თარგმანი და კომენტარები".

**ზ) კონტაქტები:**

2008 წელს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, შოთა რუსთაველის ბათუმი სახელმწიფო უნივერსიტეტთან, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტთან..

**თ) სხვა აქტივობები:**

13 თებერვალს ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში, პროექტ "ირმის ნახტომის ფარგლებში", შედგა 30-ე საჯარო სკოლის მიერ მომზადებული გურამ რჩეულიშვილის ვებ-გვერდის პრეზენტაცია;

13 მარტს გაიმართა პედაგოგთა პროფესიული გადამზადების პროგრამის "მეცნიერება მომავლისათვის" და თემატური კურსის - "ილია ჭავჭავაძე" პრეზენტაცია;

16 აპრილს პროექტ "ავტორის ხმის" ფარგლებში გაიმართა შეხვედრა ცნობილ მეცნიერთან მანანა გიგინეიშვილთან;

23 აპრილს "ავტორის ხმის" ფარგლებში გაიმართა შეხვედრა ამერიკელ ფილოსოფოსთან და ლიტერატურათმცოდნესთან ვერჯილ ნემოიანუსთან. შეხვედრა წარიმართა დიალოგის ფორმატში.

**გვაქვს მომავალი თანამშრომლობის იმედი.**

**დიდი მადლობა.**